

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი



ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს

2024 წლის 05.03 ოქმი #3 გადაწყვეტილებით

ცვლილება შეტანილია წარმომადგენლობითი საბჭოს 2025

წლის 23.07 ოქმი #12 გადაწყვეტილებით

ბიზნეს პროცესების უწყვეტობა, რომელიც გულისხმობს საგანგებო სიტუაციის (კრიტიკული საკითხების/კატასტროფების) შედეგების აღმოფხვრას ან ასეთი სიტუაციისათვის მომზადებას, საჭიროებს დაგეგმვას რისკების მინიმუმირების მიზნით. რისკების მართვა აძლევს უნივერსიტეტს საშუალებას გააცნობიეროს რისკების ზემოქმედების მთელი დიაპაზონი, მათ შორის, რისკის განვითარების შემთხვევის ალბათობის, მისი გამოწვევის მიზეზებისა და ზეგავლენის პოტენციური სიმძიმის ჩათვლით. იგი ასევე ეხმარება უნივერსიტეტს რისკებისათვის პრიორიტეტის მინიჭებაში, შესაბამისი რისკების ადრესატებისთვის მათ მოხაზვაში და, თუ ეს შესაძლებელია, რესურსების ეფექტურად გამოყოფაში მათი შემსუბუქებისა და პრევენციისათვის. ქვემოთ ჩამოთვლილია რისკები, რომლებიც შეიძლება გამოვლინდეს აკადემიურ გარემოში და რომლებიც კლასიფიცირებულია უნივერსიტეტის საქმიანობის სფეროების მიხედვით, რომლებზეც მათ შეიძლება მოახდინონ გავლენა:

- **აკადემიური რისკები:**

- სწავლება - პედაგოგთა არასაკმარისი რაოდენობა; მათი კომპეტენციის დაბალი დონე; სასწავლო რესურსების ნაკლებობა; ტესტირების/გამოცდების არასათანადო მეთოდები; სტუდენტთა ჩასარიცხი ქულების კლება და სხვა;
- კვლევა - შესაბამისი აღჭურვილობის არარსებობა; დაბალი ინოვაციური შესაძლებლობები; არასაკმარისი IT მხარდაჭერა და მომსახურება; კვლევითი კომპეტენციების ნაკლებობა; სამეცნიერო პერსონალის არასაკმარისი რაოდენობა; კვლევის შედეგების დაბალი რელევანტობა; გამოუქვეყნებელი შედეგები და სხვა;

- ხარისხი - სტუდენტთა კმაყოფილების დაბალი დონე; ზეწოლა უფრო მაღალი ნიშნებისათვის, რაც კარნახობს უფრო ადვილი გამოცდების ჩატარებას; კურსდამთავრებულთა დასაქმების დაბალი დონე; დაწესებულების რეიტინგის მნიშვნელოვან ვარდნა ძირითად რანჟირების სისტემაში; აკრედიტაციის/ავტორიზაციის დაკარგვა და სხვა;
- **ფინანსური რისკები** - არასაკმარისი ან/და არასტაბილური ფინანსური რესურსები სწავლების, კვლევის, ოპერირებისა და განვითარებისათვის; შემოსავლების ვარდნა (არსებული სტუდენტების, სტუდენტთა მობილობის შედეგების, სტუდენტური დავალიანებებისა და სხვა ამოვარდნების გათვალისწინებით), სავალუტო კურსი, საპროცენტო განაკვეთის მოძრაობა და სხვა მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები.
- **რეპუტაციული რისკები** - საერთო რეპუტაციის დაცემა; აღიარებულ რეიტინგებში ვარდნა; ცუდი პიარი; დაინტერესებული მხარეების ნდობის არქონა და სხვა;
- **ოპერაციული რისკები** - იურიდიული საკითხები, ლიდერობის არარსებობა; ბუნდოვანი მართვის პროცედურები; მართვის ეფექტური სტრუქტურის არარსებობა; მონიტორინგისა და გამოხმაურების არარსებობა; დავალებებისა და პასუხისმგებლობების გაურკვეველი განაწილება; არასაკმარისი რესურსები (სასწავლო აუდიტორიები, კინო-ტელე-ხმის სტუდიები, აღჭურვილობა/ტექნიკა, ცოდნა); ადამიანური შეცდომები, ტექნიკური შეცდომები და ავარიები (ტემპის ვარდნა, კავშირთან დაკავშირებული პრობლემები, სისტემის წარუმატებლობა, არასწორი კალკულაცია და სხვა);
- **შესაბამისობის რისკები** - სამართლებრივი ჯარიმები; საფრთხეები სამუშაო ადგილის, თანამშრომლებისა და სტუდენტების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართ; სოციალური პასუხისმგებლობისადმი დაუდევრობა; კორუფცია და სხვა;
- **სტრატეგიული რისკები** - სტუდენტების არასაკმარისი ჩარიცხვა; გამჭვირვალების არარსებობა აკადემიური დაწინაურების პოლიტიკაში; მმართველობის ხარვეზებთან დაკავშირებული საკითხები; აკადემიური ავტონომიურობის არარსებობა; კონკურენტების გამოჩენა და სხვა.
- **პანდემია/ეპიდემიის რისკები** - ეპიდემია/პანდემია და მისგან გამოწვეული სოციალური დისტანცირების მოთხოვნები.

გეგმა მოიცავს უნივერსიტეტის ბიზნეს ოპერაციების ყველა ტექნიკურ და არატექნიკურ სფეროს, მათ შორის კომუნიკაციებს, მონაცემთა შენახვასა და აღდგენას, პროგრამულ სისტემებს, ქსელის ხელმისაწვდომობას, აკადემიურ და სხვა ინსტიტუციონალურ პროცესებს.

ბიზნესპროცესების უწყვეტობის დაგეგმვის დროს, პრიორიტეტი ყოველთვის ენიჭება სოციალურ პასუხისმგებლობას. პირველ რიგში, აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოება უნდა იყოს უზრუნველყოფილი უწყვეტობის გეგმის ამოქმედებისას. ამიტომ, ბიზნეს უწყვეტობის გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია სტუდენტთა და თანამშრომელთა განათლება, კრიტიკული/ფორსმაჟორული სიტუაციების დროს მოქცევის წესების შესახებ.

უნივერსიტეტი სამოქალაქო უსაფრთხოების მხარდაჭერის მიზნით ხელმძღვანელობს არსებული კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით. როგორცაა: საქართველოს კონსტიტუცია, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ და საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტები.

ყველა რისკს არ აქვს ერთი და იგივე ალბათობა და ისინი არ მოქმედებენ ყველა ბიზნეს ფუნქციაზე ერთნაირად. ზემოთ ჩამოთვლილი რისკების უმრავლესობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ოპერაციების ხარისხზე, შედეგების დროულად დადგომაზე, ფუნქციონირების წარმატების დონეზე, აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალისა და სტუდენტების კმაყოფილებაზე და ა.შ. მაგრამ, ზოგადად, ისინი საფრთხეს არ შეუქმნიან მთელ ბიზნეს ოპერაციას ან უნივერსიტეტის ფუნქციონირებას, რაც გამოიწვევდა მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს, სერიოზულ დაზიანებას ან თუნდაც სიცოცხლისუნარიანობის დაკარგვას. მეორე მხრივ, არსებობს გარკვეული რისკები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს საქმიანობის დიდი ან სავალალო მოშლა მის მნიშვნელოვან ფუნქციებზე ზემოქმედების შედეგად. ამიტომ, იმისათვის, რომ შეეძლოს თავისი ბიზნესის უწყვეტობის დაგეგმვა, პრევენცია და მართვა, უნივერსიტეტმა განსაზღვრა თავისი კრიტიკული ფუნქციები:

- სასწავლო პროცესების მართვა;
- კვლევების განხორციელება და სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება;
- აკადემიური ჩანაწერებისა და სტუდენტური ნამუშევრების მტკიცებულებების დაცვა;
- ფინანსური (შემოსავლებისა და გადასახადების; გადარიცხვების და ანგარიშსწორების უწყისების დამუშავება) პროცესების მართვა.

უნივერსიტეტმა მოახდინა ძირითადი რისკების იდენტიფიცირება, რომლებსაც შეუძლია უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა საქმიანობის წარმართვის პროცესებზე და კლასიფიცირდა სამ ჯგუფად:

- **კომუნიკაციები:**

- IT-ს მარცხი - ციფრული ტრანსფორმაცია ზრდის რისკებს, რომ განიცადო უნივერსიტეტის მნიშვნელოვანი დანგრევა, კიბერშეტევების და სხვა ტექნოლოგიური ავარიების გამო;
- მონაცემთა დაკარგვა და მონაცემთა დაზიანება (შენახვის, გადაცემის ან დამუშავების წარუმატებლობით ან უყურადღებობით განადგურებული ინფორმაცია);
- მონაცემთა ქურდობა და დაჰაკვა (უნებართვო წვდომა პირადი და სენსიტიური ინფორმაციის მოსაპოვებლად, მაგ. პერსონალის შეფასების ფაილების, სტუდენტთა ჩანაწერების);

- **ინფრასტრუქტურა (ქონება და IT ტექნიკა)**

- ბუნებრივი და ადამიანის მიერ ხელთქმნილი კატასტროფები (მაგ. წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, ეპიდემია, ომი / სამოქალაქო არეულობა და სხვა) - შენობების დაზიანება, სისტემების დაკარგვა და სხვა;
- კომუნალური ავარიები (მაგ. ელ-ენერჯის გათიშვა, განათების უკმარისობა, სანტექნიკა და წყლის გაჟონვა, ბუნებრივი გაზის გაჟონვა, გათბობისა და გაგრილების სისტემის წყობრიდან გამოსვლა და სხვა) - შენობაში შესვლის აკრძალვა.

- **ადამიანური რესურსები:**

- პერსონალის დაკარგვა (ძირითადი აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გამგზავრება/გადინება ნებაყოფლობით ან სხვაგვარად), ცოდნის, რეპუტაციის, შესაძლებლობების დაკარგვა და სხვა;
- უსაფრთხოების საფრთხე - ტერორიზმის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის და მასალების ქურდობა,

უსაფრთხოებაზე სათანადო კონტროლის არასებობა,
 მოძველებელი მართვის პოლიტიკა და სხვა.

უნივერსიტეტის საქმიანობის ბიზნესუწყვეტობა მოიცავს უწყვეტ მოქმედებათა ჯაჭვს, რომელიც ითვალისწინებს ჩარჩოს - „პრევენცია“, „მზადყოფნა“, „რეაგირება“ და „აღდგენა“, მათ შორის:

- პრევენცია - უკავშირდება რისკის მართვის დაგეგმვას. აღნიშნული გულისხმობს ინციდენტებთან დაკავშირებული რისკების აღბათობის და/ან გავლენის იდენტიფიცირებას და მართვას. რისკის მართვის პროცესების ძირითადი ელემენტების იმპლემენტაცია ხდება ამ სტადიაზე, სადაც საფრთხეები დგინდება და აღმოიფხვრება, ან მცირდება მისაღებ დონემდე;
- მზადყოფნა - მოიცავს ფაქტორების საქმიანობაზე გავლენის ანალიზის შედეგად საფრთხის აცილების მიზნით ადამიანური რესურსის მზადყოფნასა და უნარ-ჩვევების შექმნას, მატერიალური გარემოს მაქსიმალურ გამართვას რისკების აცილების სტანდარტების შესაბამისად, რისთვისაც წინასწარ ხდება უნივერსიტეტის იმ ძირითადი აქტივობების იდენტიფიცირება და პრიორიტეტების განსაზღვრა, რომლებზეც შეიძლება ნეგატიური გავლენა ქონდეს ნებისმიერ დესტრუქციას და კრიტიკულ ინციდენტებს;
- რეაგირება - მოიცავს ბიზნესუწყვეტობის და რისკ-მენეჯმენტის ინციდენტებზე რეაგირების გეგმას, განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომლებიც უნდა გატარდეს სხვადასხვა რისკის შემთხვევაში შედეგების მინიმუმაციის, გავლენის კონტროლისა და ლოკალიზაციისთვის;
- აღდგენა - წარმოადგენს ფაქტორების გავლენის შემდგომ ეტაპს. იგი მოიცავს მოქმედებათა თანმიმდევრობას, რამაც უნდა შეამციროს მოცდენებისა და შეფერხებების დრო, საფრთხის აღმოფხვრა და გონივრულად მცირე დროში უზრუნველყოს უნივერსიტეტის ფუნქციონირების სრული აღდგენა.

ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა

ბუნებრივი კრიზისები, უმეტეს შემთხვევაში, საშიშროებას უქმნის ადამიანთა ფიზიკური უსაფრთხოებას, იწვევს ადამიანთა ფიზიკურ დაზიანებას და, სამწუხაროდ, ფატალურ შემთხვევასაც. სწორედ ამიტომ, დიდი ყურადღება ექცევა ბუნებრივი კრიზისების (ხანძარი, მიწისძვრა, წყალდიდობა და სხვა.) შესაძლო პრევენციას. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამოქალაქო უსაფრთხოების დანერგვა/განხორციელება ნებისმიერ და მით უფრო საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ძირითადი რისკები	ზეგავლენა	საუნივერსიტეტო დაზიანების ზონები	მნიშვნელოვანი ფუნქციების დაზიანება
კომუნიკაციები			

IT მარცხი	ძირითადი	აკადემიური რისკები ოპერატიული რისკები ფინანსური რისკები	სასწავლო პროცესების მართვა; კვლევების განხორციელება და სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება; აკადემიური ჩანაწერებისა და სტუდენტური ნამუშევრების მტკიცებულებების დაცვა; ფინანსური (შემოსავლებისა და გადასახადების; გადარიცხვების და ანგარიშსწორების უწყისების დამუშავება) პროცესების მართვა.
მონაცემთა დაკარგვა და მონაცემთა დაზიანება	ძირითადი	აკადემიური რისკები ოპერატიული რისკები ფინანსური რისკები	კვლევების განხორციელება და სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება; აკადემიური ჩანაწერებისა და სტუდენტური ნამუშევრების მტკიცებულებების დაცვა; ფინანსური (შემოსავლებისა და გადასახადების; გადარიცხვების და ანგარიშსწორების უწყისების დამუშავება) პროცესების მართვა.
მონაცემთა ქურდობა და დაპაკვა	ძირითადი	ოპერატიული რისკები ფინანსური რისკები შესაბამისობის რისკები რეპუტაციული რისკები	აკადემიური ჩანაწერებისა და სტუდენტური ნამუშევრების მტკიცებულებების დაცვა; ფინანსური (შემოსავლებისა და გადასახადების; გადარიცხვების და ანგარიშსწორების უწყისების დამუშავება) პროცესების მართვა.
ინფრასტრუქტურა (ქონება და IT ტექნიკა)			
ბუნებრივი და ადამიანის მიერ ხელთქმნილი კატასტროფები	კატასტროფული	ოპერატიული რისკები; აკადემიური რისკები; რეპუტაციული რისკები; სტრატეგიული რისკები. პანდემია/ეპიდემიის რისკები.	სასწავლო პროცესების მართვა; კვლევების განხორციელება და სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება; აკადემიური ჩანაწერებისა და სტუდენტური ნამუშევრების მტკიცებულებების დაცვა; ფინანსური (შემოსავლებისა და გადასახადების; გადარიცხვების და ანგარიშსწორების უწყისების დამუშავება) პროცესების მართვა.
კომუნალური ავარიები	ძირითადი	ოპერატიული რისკები; შესაბამისობის რისკები;	სასწავლო პროცესების მართვა; კვლევების განხორციელება და სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება; ფინანსური (შემოსავლებისა და გადასახადების; გადარიცხვების და

		აკადემიური რისკები;	ანგარიშსწორების უწყისების დამუშავება) პროცესების მართვა.
ადამიანური რესურსები			
პერსონალის დაკარგვა (აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი)	ძირითადი	სტრატეგიული რისკები; აკადემიური რისკები; ოპერატიული რისკები; რეპუტაციული რისკები;	სასწავლო პროცესების მართვა; კვლევების განხორციელება და სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება; ფინანსური (შემოსავლებისა და გადასახადების; გადარიცხვების და ანგარიშსწორების უწყისების დამუშავება) პროცესების მართვა.
უსაფრთხოების საფრთხე	ძირითადი	ოპერატიული რისკები; შესაბამისობის რისკები; რეპუტაციული რისკები; პანდემია/ეპიდემიის რისკები	სასწავლო პროცესების მართვა; კვლევების განხორციელება და სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება; აკადემიური ჩანაწერებისა და სტუდენტური ნამუშევრების მტკიცებულებების დაცვა; ფინანსური (შემოსავლებისა და გადასახადების; გადარიცხვების და ანგარიშსწორების უწყისების დამუშავება) პროცესების მართვა.
ფორსმაჟორი			
სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური საფრთხე პანდემია / სხვა ინფექციური დაავადებები	ძირითადი	ოპერატიული რისკები; აკადემიური რისკები; რეპუტაციული რისკები; სტრატეგიული რისკები. პანდემია/ეპიდემიის რისკები.	სასწავლო პროცესების მართვა; კვლევების განხორციელება და სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება; აკადემიური ჩანაწერებისა და სტუდენტური ნამუშევრების მტკიცებულებების დაცვა; ფინანსური (შემოსავლებისა და გადასახადების; გადარიცხვების და ანგარიშსწორების უწყისების დამუშავება) პროცესების მართვა.

უნივერსიტეტი საქმიანობის გამართულად წარმოებისთვის უზრუნველყოფს შიდა და გარე რესურსების სწორ გამოყენებას და დანერგილი სერვისების ბიზნესუწყვეტობა უზრუნველყოფილია, როგორც ფიზიკური ასევე პროგრამული ინფრასტრუქტურის მოწყობით. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესების მართვის სამსახური, სახანძრო და შრომის უსაფრთხოების სამსახური, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტის რესურსების კონტროლს და რისკების აღმოჩენის შემთხვევაში რეაგირებს დაუყოვნებლივ. საგანგებო სიტუაციის დროს უნივერსიტეტი ატყობინებს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საფრთხის შესახებ და

დაუყოვნებლივ ხდება უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირება და უსაფრთხო ადგილას გადაყვანა, იქამდე, სანამ არ აღმოიფხვრება კონკრეტული საშიშროება.

ბიზნესპროცესის უწყვეტობისთვის უნივერსიტეტში არსებობს უსაფრთხოების სისტემა, საევაკუაციო გეგმა, რომელიც გამოკრულია შენობის თითოეულ სართულზე. სახანძრო და შრომის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები პერმანენტულად ატარებენ კრიზისულ სიტუაციებში ევაკუაციისა და პირველადი დახმარების შესახებ ინფორმაციულ შეხვედრებს, ტრენინგებსა და სიმულაციურ ღონისძიებებს, როგორც აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალთან, აგრეთვე სტუდენტებთან.

ბიზნესუწყვეტობის სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის და კრიზისულ ვითარების დადგომისას იქმნება საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე-ასრულებს უნივერსიტეტის ბიზნესუწყვეტობის მართვის საბჭოს კოორდინატორის ფუნქციას და პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ბიზნესუწყვეტობის მართვის სტრატეგიისა და გეგმის შესრულებაზე;

ბიზნესუწყვეტობის მართვის საკოორდინაციო საბჭო:

- 1) შეიმუშავებს, განიხილავს და შეაფასებს უნივერსიტეტის ბიზნეს უწყვეტობის მართვის გეგმას;
- 2) ამყარებს კომუნიკაციას უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულთან (ფაკულტეტებთან) და სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან/სამსახურებთან/თანამდებობის პირებთან, როგორც სტრატეგიულ, ასევე ოპერაციულ დონეზე, რათა უზრუნველყონ უნივერსიტეტის თანამშრომლების ჩართულობა ბიზნესუწყვეტობის გეგმის განხორციელების პროცესის ყველა ეტაპზე;
- 3) მასშტაბური ინციდენტების დროს მოახდენს საგანგებო სიტუაციების მართვას;
- 4) მოახდენს რეაგირებას კონკრეტულ რისკებსა და ინციდენტებზე, გამოავლენს ხარვეზებს;

საკოორდინაციო საბჭოში შედიან ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა სტრუქტურული ერთეულის/სამსახურების/დეპარტამენტების წარმომადგენლები:

- რექტორი (საბჭოს თავჯდომარე);
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
- რექტორის მოადგილე;
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე;
- ფაკულტეტების დეკანები;
- სამსახურის ხელმძღვანელები;
- ექიმი;
- შრომის უსაფრთხოება;
- დაცვის სამსახური;
- სამეურნეო სამსახური.

ინფრასტრუქტურა:

- უნივერსიტეტს კაკონიერად ფლობს ორ ერთმანეთისაგან ადგილმდებარეობით დამოუკიდებელ სასწავლო კორპუსს (რუსთაველის გამზირი 19-23; აღმაშენებლის გამზირი #40)
- კორპუსებს შორის უზრუნველყოფილია დაცული, დაშიფრული ინტერნეტ კავშირი (VPN Tunnel), რომლის მეშვეობით ხდება მონაცემთა მიმოცვლა.
- ორივე კორპუსში წარმოდგენილია დამოუკიდებელი სასერვერო ოთახი;
- სასერვერო ოთახში ელ.ენერგია მიყვანილია დამოუკიდებელი არხით და აქვს სისტემისგან დამოუკიდებელი საავარიო ამომრთველი;
- სასერვერო ოთახები აღჭურვილია წყვეტი კვების წყაროთი, რომელიც ელ.ენერგიის გათიშვის შემთხვევაში უზრუნველყოფს სასერვეროს მუშაობას 2-3 საათის განმავლობაში.

პროგრამული უზრუნველყოფა:

- სერვერებზე შექმნილია RAID10 მასივი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცულობას და წარმადობას.
- დისკებზე, რომელზეც განთავსებულია ვირტუალური კომპიუტერები და თავად ვირტუალური კომპიუტერის დისკებზე ჩართულია მონაცემთა პერიოდული დარეზერვების სერვისი Shadow Copies, რომელიც ყოველ საათში არეზერვებს მონაცემებს და უზრუნველყოფს Ransomware სახეობის ვირუსებისგან მაქსიმალურ და ეფექტურ დაცვას.
- უნივერსიტეტში დანერგილია ვირტუალიზაციის გარემო, სადაც თითოეული ვირტუალური კომპიუტერი რეზერვდება ყოველდღიურად ორ ფიზიკურ კომპიუტერზე, ასევე პერიოდულად გარე მატარებლებზე, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის დაცულობას ფორსმაჟორულ სიტუაციაში.
- ელ.ფოსტის სერვერი (განთავსებულია Google-ის სერვისში G-Suite, რომლის ადმინისტრირება და მონაცემთა დარეზერვება, უსაფრთხოება მათივე საშუალებით ხდება);
- საფინანსო პროგრამული უზრუნველყოფის ORIS ბუღალტერიის მონაცემები რეზერვდება დღეში ორჯერ და იტვირთება, როგორც ფიზიკურ სერვერებზე, აგრეთვე ორ დამოუკიდებელ ინტერნეტ სერვისზე Google Drive;
- საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის ერთიანი ცენტრალიზებული ელექტრონული სერვისი E-Flow;
- სტუდენტების ტესტირებისა და შეფასების ელექტრონული სისტემა tafu1.ini.ge და ასევე შექმნილია მობილური აპლიკაცია სტუდენტებისთვის (android; IOS), სადაც განთავსებულია ელექტრონული ჟურნალი, ელექტრონული ცხრილი, ელექტრონული ბიბლიოთეკის რესურსი, დავალებების მიცემა და მისი შეფასება.

- File Server-ზე განთავსებული ინფორმაცია Shadow Copies მეშვეობით რეზერვდება ყოველ საათში, ასევე ყოველდღიურად ხდება მთლიანი მონაცემების დარეზერვება ორ ფიზიკურ სერვერზე.

IT ინფრასტრუქტურა:

- 2 მარშრუტიზატორისა (Router) და რამდენიმე კომპუტატორისგან (Switch);
- 3 ფიზიკური (რომელთა ჯამური წარმადობა არის პროცესორის 12 ფიზიკური და 12 ლოგიკური ბირთვი, ოპერატიული მეხსიერების რაოდენობა შეადგენს 96GB-ს, დისკის მოცულობა შეადგენს 9TB-ს და მისი ჩაწერა/წაკითხვის ოპერაციების რაოდენობა წამში (IOPS) არის საშუალოდ 40-50 ათასი) და 8 ვირტუალური სერვერისგან;
- კომპიუტერული ინფრასტრუქტურა შედგება 184 კომპიუტერისგან;
- სადენიანი და უსადენო ქსელისგან;
- 27 კომპიუტერით აღჭურვილი კომპიუტერული კლასისგან.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შედგება რამდენიმე დამოუკიდებელი სერვისისგან, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სამ ძირითად მიმართულებაზე:

უნივერსიტეტის კომპიუტერებისა და IT ინფრასტრუქტურის მართვის სერვისები

- მომხმარებლების ავტორიზაციის, ავთენტიკაციის და ავტომატიზებული მართვის სერვისი (Microsoft Active Directory);
- შიდა დომენური სახელების რეგისტრაციის სერვერი (Microsoft DNS Server);
- Windows-ის განახლების შიდა სერვერი (WSUS);
- Hyper-V ვირტუალიზაციის გარემო.

ბიზნეს პროცესების მხარდაჭერი სერვისები

- სამსახურეობრივი ფაილების გაზიარებული საცავი (File Server);
- VOIP ტელეფონია;
- ORIS ბუღალტერია;
- ელ.ფოსტის სერვერი (განთავსებულია Google-ის სერვისში G- რომლის Suite, ადმინისტრირებაც მათივე საშუალებით ხდება).

ქსელური ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოება და მონაცემთა დარეზერვება

- მარშრუტიზატორი (Router) უზრუნველყოფს შიდა ქსელის დაცვას და გლობალურ ქსელთან კომუნიკაციას;
- მეორე და მესამე დონის კომპუტატორებით (Switch) უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელის ფუნქციონალი, მათ შორის სამსახურეობრივი (კომპიუტერული/ სატელეფონო) და სხვა დანიშნულების ქსელების დაყოფა (სტუდენტური და სტუმართათვის გამოყოფილი უსადენო ქსელი და სხვა);
- უნივერსიტეტის კორპუსები ერთმანეთთან დაკავშირებულია დამიფრული, უსაფრთხო არხების მეშვეობით (VPN Tunnel);
- უსადენო ქსელი დაყოფილია სამსახურეობრივი და სასწავლო პროცესის (სტუდენტური და სტუმართათვის) საჭიროებისთვის და იზოლირებულია ერთმანეთისგან;
- ქსელის ფილტრაციისა და ტრაფიკის კონტროლის სერვერი Kerio Control;
- ვირუსული და სხვა საფრთხეებისგან დაცვის ცენტრალიზებული სერვისი (Norton Endpoint Protection);
- მონაცემთა დაცვისა და დარეზერვების სისტემა უზრუნველყოფს, როგორც თანამშრომელთა სამუშაო ფაილების, ასევე IT ინფრასტრუქტურის მონაცემთა დაკარგვისაგან დაცვას, სარეზერვო ასლის შენახვის პერიოდულობა არის ფაილების შემთხვევაში 1 საათი, ხოლო სერვერის შემთხვევაში 1 დღე (გარდა საფინანსო სერვერისა, იგიც ფაილების მსგავსად საათში ერთხელ ინახება).

უნივერსიტეტის ორივე კორპუსში განთავსებულია საგანგებო სიტუაციებისთვის საჭირო აუცილებელი ინვენტარი:

- უნივერსალური ცეცხლმაქრი;
- მეგაფონი;
- ფანარი;
- საკაცე;
- სამაშველო ჩანთა პირველადი დახმარების მედიკამენტებით და სხვა.

ფინანსური მდგრადობა

უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს კურატორი სამინისტროს მხრიდან არსებული ყოველწლიური საბიუჯეტო ასიგნება (Block Grant), ხოლო ფინანსური მდგრადობის მეორე წყარო არის უნივერსიტეტის საკუთარი შემოსავლები, სადაც ირიცხება:

- Ø სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური
- Ø გაწეული მომსახურებიდან და იჯაროდან შემოსავლები

Ø მიმდინარე გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან

Ø კერძო და იურიდიული პირებიდან შემოსული ნებაყოფლობითი ტრანსფერები

Ø სასწავლო თეატრის მიერ რეალიზებული ბილეთების საფასური

Ø გამომცემლობიდან რეალიზებული წიგნების საფასური

საკუთარი შემოსავლები ცვალებადია, დამოკიდებულია სხვადასხვა შიდა (არსებული სტუდენტების, სტუდენტთა მობილობის შედეგების, სტუდენტური დავალიანებებისა და სხვა) და გარე ფაქტორებზე (სავალუტო კურსის ცვალებადობა, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები და სხვა), რაც ცხადია შეიცავს გარკვეულ რისკებს. რისკების უდიდესი ნაწილის მიმართ ხორციელდება ქვემოთ მოყვანილი ოთხი ძირითადი ტიპის კონტროლის ღონისძიება, რომელთა მიზანს წარმოადგენს წარმოშობილი რისკების მისაღებ დონეზე დაყვანა: პრევენციული კონტროლი მაკორექტირებელი კონტროლი მიმართული კონტროლი აღმოჩენითი კონტროლი, რომელიც აისახება ქვემოთ მოყვანილ ქმედებებში:

- შუალედური საბიუჯეტო ანგარიშგება;
- დამატებითი რესურსების მოძიება;
- დაფინანსების სხვა წყაროების მოძიება;
- გარდამავალი ნაშთის არსებობა;
- შესრულებულ სამუშაოებზე კონტროლის გაძლიერება;
- აუდიტორული შემოწმებები და სხვა.

მიმდინარე განვითარებადი პროცესები

უნივერსიტეტში მიმდინარეობს ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და არსებულის განვითარება:

- ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგის განვითარება;
- უსაფრთხოების კამერების მონტაჟი და მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება;
- თანამშრომელთა დაშვებისა და ელექტრონული აღრიცხვის სისტემის დანერგვა-განვითარება;
- კინო-ტელე ფაკულტეტის სასწავლო ვიდეო მასალების პორტალის განვითარება youtube არხზე TAFU EDU;
- ყოველწლიურად დაგეგმილია კომპიუტერული ტექნიკის განახლება და ახალი ტექნიკით ჩანაცვლებაც;
- უნივერსიტეტის განვითარებასთან ერთად დაგეგმილია სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის საჭირო კომპონენტების განახლება.

სამომავლო გეგმები

- უნივერსიტეტში არსებული სტუდენტთა კინო და სპექტაკლების ფონდის არქივის კატალოგიზაცია, რაც ხელს შეუწყობს პროდუქტების მონეტიზაციას;
- სტუდენტების ტესტირებისა და შეფასების ელექტრონული სისტემა tafu1.ini.ge-ზე შეიქმნება აპი პროფესორ-მასწავლებლებისათვის, რომ შეეძლოს მობილური ტელეფონითაც ისარგებლონ ამ სერვისით (android; IOS)